



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო



8891-01-2-202104121725

ს ა გ ა რ ო ს ა ქ მ ე თ ა ს ა მ ი ნ ის ტ რ ო

№ 01/8891

12/04/2021

„მედიის განვითარების ფონდის“ აღმასრულებელ დირექტორს

თამარ კინწურაშვილს

ელ. ფოსტა: mdfgeo@gmail.com

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ო თ ა მ ა რ ,

თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, დანართის სახით გიგზავნით „ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის 2017-2020 წლებისთვის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე შემუშავებული 2017, 2018 და 2019 წლების სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებს, რომლებიც ასევე მოიცავს აღნიშნული პერიოდის სამოქმედო გეგმებს.

ამასთან, გაცნობებთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი“, რომლის მთავარი ამოცანაა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირება. აღნიშნული ცენტრის მიზანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. ასევე, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში მიღებული სიკეთეების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება და მათი გაცნობიერებული მხარდაჭერის ხელშეწყობა. საინფორმაციო ცენტრი ყოველწლიურად მრავალ პროექტს ახორციელებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის. „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი“-ს შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ. ბმულებზე: <https://www.facebook.com/EUNATOinfo/> ; <http://old.infocenter.gov.ge/>

დანართი: 3 (სამი) excel-ის ფაილი

პატივისცემით,
ირაკლი ქოიავა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

